

ემოციური ინტელექტის თავისებურება ინტელექტუალური განვითარების  
დარღვევის მქონე პაციენტებში

თამილა ჯვარიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე კლინიკური ფსიქოლოგიის  
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

კლინიკური ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მალხაზ მაცაშვილი, მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

## განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თამილა ჯვარიძე, 23 იანვარი, 2019 წელი

## აბსტრაქტი

თეორიებისა და ემპირიული კვლევების თანახმად ემოციური ინტელექტის დეფიციტის მქონე ადამიანებს უჭირთ სახის გამოხატული ემოციების ამოცნობა, რაც ხელს უშლით მათ გარემოში ადაპტაციასა და კომუნიკაციას. კვლევის მიზანს წარმოადგენს ემოციური ინტელექტის შესწავლა სახის ემოციის ამოცნობისა და გამოხატვის უნარის მიხედვით საქართველოში მცხოვრები ინტელექტუალური განვითარების დარღვევის მქონე ადამიანებში. კერძოდ, როგორია ემოციის ამოცნობისა და გამოხატვის შესაძლებლობა ინტელექტუალური ჩამორჩენის მქონე ადამიანებში ტიპური განვითარების მქონე ადამიანებთან შედარებით? კვლევაში გამოვიყენეთ შვედეთის სამეფო ინსტიტუტის სახის სხვადასხვა ემოციის გამომეტყველების სურათები, რომლებიც ასახავენ ადამიანების სახის სხვადასხვა გამომეტყველებას, - ნეიტრალურს და ყველა საბაზისო ემოციას. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 10-დან 66 წლამდე საშუალო ინტელექტუალური განვითარების დარღვევისა( 35) და ტიპური განვითარების( 35) მქონე ინდივიდებმა, სულ 70 რესპონდენტი. კვლევაში გამოვლინდა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ჯგუფთაშორის განსხვავება დამოუკიდებელი ჯგუფის t-კრიტერიუმის მიხედვით. მიღებულმა შედეგებმა დაადასტურა ჰიპოთეზები, რომ ინტელექტუალური განვითარების დარღვევის მქონე ადამიანებთან დაბალია სახის ემოციის ამოცნობისა და გამოხატვის შესაძლებლობა ტიპური განვითარების მქონე ადამიანებთან შედარებით.

**საკვანძო სიტყვები:** ემოციური ინტელექტი, ინტელექტუალური განვითარების დარღვევა, სახის ემოციის ექსპრესია

## **Abstract**

According to the theories and empirical research, people with a deficiency in emotional intelligence find it difficult to recognize emotions in facial expressions, which hinders their environmental adaptation and communication. The aim of the following research is to study emotional intelligence, and the ability to recognize facial emotions/expressions through the observation of individuals with intellectual development disabilities, living in Georgia. In particular, studying the ability to recognize and express emotions in individuals with intellectual disabilities compared to people with typical mental development. During the research we used photos from the Swedish Royal Institute. Each photo set depicted different facial emotion expressions, contrasting neutral to all basic emotions. 70 Subjects (aged from 10 to 66) participated in the research, out of which 35 individuals had intellectual development disorders, the other 35 were individuals with typical development. Research revealed important statistical differences between the groups according to an Independent Samples T-test. This proved that people with intellectual development disabilities are not as proficient as individuals with typical development in terms of detection and expression of facial emotions.

**Key words:** emotional intelligent, intellectual development disability disorder, facial emotional expression